<u>გაკვეთილი</u> – 6

„ღმერთი უფალის“ მსახურების I ჟამნი

<u>შენიშვნა</u>: თუ სათანადო მიზეზთა გამო დღის მსახურება I ჟამნით დაიწყება, მაშინ მას წინ უძღვის მღვდლის ასამაღლებელი და დასაწყისი ლოცვები, როგორც ეს III ჟამნშია მითითებული.

აღსავლის კარი და კრეტსაბმელი დახურულია.

medaviTne: – „მოვედით თაყვანის-ვჰსცეთ“ – 3-ჯერ.

– ფსალმუნი მე-5: „სიტყვანი ჩემნი ყურად იხვენ უფალო...“

– ფსალმუნი 89-ე: „უფალო, შესავედრებელ მეყავნ ჩვენ...“

– ფსალმუნი მე-100: „წყალობასა და სამართალსა გაქებდე შენ უფალო...“

– „დიდება, აწდა“, „ალილუია“ – 3-ჯერ, „უფალო შეგვიწყალენ“ – 3-ჯერ.

– **ტროპარი აღდგომისა.**

– „დიდება“

– **ტროპარი წმიდისა.**

– „აწდა“, ღვთისმშობლისა – „რამე სახელ-გდვათ შენ...“ **(იხ. ჟამნი, გვ. 94).**

– „წმიდაო ღმერთო“, „ყოვლად-წმიდაო სამებაო“, „მამაო ჩვენო“.

mRvdeli: – ასამაღ.: „რამეთუ შენი არს სუფევა...“

medaviTne: – ამინ.

– **კონდაკი აღდგომისა.**

– „უფალო შეგვიწყალენ“ – 40-ჯერ.

– ლოცვა: „რომელი ყოველსა დღესა...“ **(იხ. III ჟამნი, გვ. 104).**

– „უფალო შეგვიწყალენ“ – 3-ჯერ,

– „დიდება აწდა“,

– „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა...“,

– „სახელითა უფლისათა... გვაკურთხენ“.

mRvdeli: – „ღმერთო მიწყალენ ჩვენ, და მაკურთხენ ჩვენ...“

medaviTne: – ამინ.

mRvdeli: – ამბიონზე მხედველი აღმოსავლეთისკენ ამბობს ლოცვას: **„ქრისტე ნათელო ჭეშმარიტო...“ (იხ. ჟამნი, გვ. 95).**

გ უ ნ დ ი: – ამინ.

– „ზესთა მბრძოლისა ჩემისათვის...“ **(იხ. ჟამნი, გვ. 96).**

mRvdeli: – „დიდება შენდა ქრისტე ღმერთო, სასოებაო ჩვენო, დიდება „შენდა“.

გ უ ნ დ ი: – „დიდება, აწდა“,

– „უფალო შეგვიწყალენ“ - 3-ჯერ,

– „სახელითა უფლისათა... გვაკურთხენ“.

mRvdeli: – ამბიონზე აღასრულებს „მცირე“ ჩამოლოცვას: „მკვდრეთით აღდგომილმან ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან...“ **(იხ. კონდაკი, გვ.321)**

გ უ ნ დ ი: – ამინ.

– „უფალო შეგვიწყალენ“ – 3-ჯერ.

შენიშვნა: „ღმერთი უფალის“ I, III, VI და IX ჟამნებში სტრუქტურული მოთხოვნების შესაბამისად წაიკითხება ან ერთი ან ორი **ტროპარი**, ხოლო **კონდაკი** კი მხოლოდ ერთი. იმ შემთხვევაში, თუ ჟამნში ორზე მეტი ტროპარ-კონდაკია მითითებული, წასაკითხი ტროპრებისა და კონდაკის შერჩევა კონკრეტული ტიპიკონის მითითებების შესაბამისად აღესრულება.

მ ო რ ი ბ ი
რჩევები მედავითნეობის შემსწავლელთათვის:

1. მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 გაკვეთილები პრაქტიკული ხასიათისაა, რის გამოც თითოელი მათგანის შესწავლისას აუცილებლად ისარგებლეთ საღვთისმსახურო წიგნ **„ჟამნით“**;

2. არ დაკმაყოფილდეთ მხოლოდ ჟამნების ტიპიკონის დასწავლით, არამედ დღეში რამდენჯერმე წაიკითხეთ დასასწავლი ჟამნი;

3. თითოეული ჟამის დასწავლას ორი-სამი დღე უნდა დაუთმოთ. ტიპიკონები ზეპირად უნდა დაისწავლოთ;

4. I, III, VI და IX ჟამნების დასწავლისას, თავდაპირველად, ყურადღება არ მიაქციოთ ტროპარ-კონდაკთა მოძიებას. ამ საკითხის გარკვევას ბოლოს დაუბრუნდით, როცა ხსენებულ ოთხივე ჟამნის სტრუქტურასა და გამართულად კითხვას დაეუფლებით;

5. მე-10 გაკვეთილის დასწავლას რამდენიმე ეტაპი დასჭირდება. ტროპარ-კონდაკთა მოძიებაში დახელოვნებისათვის სულ ცოტა ორი კვირაა საჭირო;

6. იმის გამო, რომ **მე-6÷მე-10** გაკვეთილების დასწავლა (ჟამნების კითხვაში გაწაფვა) ერთობ მნიშვნელოვანია, არ იჩქაროთ ახალ გაკვეთილებზე გადასვლა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყოველი მომდევნო გაკვეთილი უფრო რთული იქნება მის წინამორბედზე;

7. გონივრული იქნება თუ გამოცდილი მედავითნის კონსულტაციითაც ისარგებლებ;

8. და ბოლოს, არ ჩათვალო, რომ პირველი ხუთი გაკვეთილის დასწავლა ნაკლებ მნიშვნელოვანია.

<u>გაკვეთილი</u> – 7

„ღმერთი უფალის“ მსახურების III ჟამნი

აღსავლის კარი და კრეტსაბმელი დახურულია.

mRvdeli შემოსილი სრული შესამოსლით საკურთხეველში იტყვის ასამაღ.: **„კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“.**

medaviTne: – ამინ.

შენიშვნა: III და VI ჟამნების კითხვის დროს სამკვეთლოში სრულდება კვეთა. კრეტსაბმელი გაიღება კვეთის ჩამოლოცვის შემდეგ, ხოლო diakoni აღასრულებს სრულ კმევას.

– „დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა“.
– „მეუფეო ზეცათაო“,
– „წმიდაო ღმერთო“, „ყოვლად-წმიდაო სამებაო“, „მამაო ჩვენო“.

mRvdeli: – ასამაღ.: „რამეთუ შენი არს სუფევა...“

medavine: – ამინ.
– „უფალო შეგვიწყალენ“ – 12-ჯერ.
– „დიდება, აწდა“.
– „მოვედით თაყვანის-ვჰსცეთ“ – 3-ჯერ.
– ფსალმუნი მე-16: „ისმინე უფალო სიმართლისა ჩემისა...“
– ფსალმუნი 24-ე: „შენდამი უფალო აღვიღე სული ჩემი...“
– ფსალმუნი 50-ე: „მიწყალე მე ღმერთო...“

– „დიდება, აწდა“, „ალილუია“ – 3-ჯერ.
– „უფალო შეგვიწყალენ“ – 3-ჯერ.
– **ტროპარი აღდგომისა.**
– „დიდება“, **ტროპარი წმიდისა.**
– „აწდა“, ღვთისმშობლისა – „ღვთისმშობელო ქალწულო შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი...“ **(იხ. ჟამნი, გვ. 103).**
– „წმიდაო ღმერთო“, „ყოვლად-წმიდაო სამებაო“, „მამაო ჩვენო“.

mRvdeli: – ასამაღ.: „რამეთუ შენი არს სუფევა...“

medaviTne: – ამინ.
– **კონდაკი აღდგომისა.**
– „უფალო შეგვიწყალენ“ – 40-ჯერ.
– ლოცვა : „რომელი ყოველსა დღესა...“ **(იხ. ჟამნი, გვ. 104).**
– „უფალო შეგვიწყალენ“ – 3-ჯერ,
– „დიდება, აწდა“,
– „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა...“,
– „სახელითა უფლისათა... გვაკურთხენ“.

mRvdeli: – „ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო შეგვიწყალენ ჩვენ“.

medaviTne: – ამინ.
– ლოცვა: „მეუფეო, ღმერთო მამაო ყოვლისა მპყრობელო...“ **(იხ. ჟამნი, გვ. 105).**

<u>გაკვეთილი</u> – 8

„ღმერთი უფალის“ მსახურების VI ჟამნი

შენიშვნა: III ჟამნის დასრულების შემდეგ ყოველგვარი პაუზის გარეშე იწყება VI ჟამნის კითხვა. თუ სათანადო მიზეზთა გამო დღის მსახურება VI ჟამნით დაიწყება, მაშინ მას წინ უძღვის მღვდლის ასამაღლებელი და დასაწყისი ლოცვები, როგორც ეს III ჟამნშია მითითებული.

medaviTne: – „მოვედით თაყვანის-ვჰსცეთ“ – 3-ჯერ.
– ფსალმუნი 53-ე: „ღმერთო სახელითა შენითა მაცხოვნე მე...“
– ფსალმუნი 54-ე: „ყურად იღე ღმერთო ლოცვისა ჩემისა...“
– ფსალმუნი 90-ე: „რომელი დამკვიდრებულ არს...“
– „დიდება, აწდა“, „ალილუია“ – 3-ჯერ.
– „უფალო შეგვიწყალენ“ – 3-ჯერ.
– **ტროპარი აღდგომისა.**
– „დიდება“, **ტროპარი წმიდისა.**
– „აწდა“, ღვთისმშობლისა – „რამეთუ არა მაქუს ჩვენ კადნიერება...“ **(იხ. ჟამნი, გვ. 112).**
– „წმიდაო ღმერთო“, „ყოვლად-წმიდაო სამებაო“, „მამაო ჩვენო“.

mRvdeli: – ასამაღ.: „რამეთუ შენი არს სუფევა...“

medaviTne: – ამინ.

– **კონდაკი აღდგომისა.**
– „უფალო შეგვიწყალენ“ – 40-ჯერ.
– ლოცვა: „რომელი ყოველსა დღესა...“ **(იხ. III ჟამნი, გვ. 104).**
– „უფალო შეგვიწყალენ“ – 3-ჯერ,
– „დიდება, აწდა“,
– „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა...“,
– „სახელითა უფლისათა... გვაკურთხენ“.

mRvdeli: – „ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა...“

medaviTne: – ამინ.
– ლოცვა: „ღმერთო და უფალო ძალთაო...“ **(იხ. ჟამნი, გვ. 116).**

<u>გაკვეთილი</u> – 9

„ღმერთი უფალის“ მსახურების IX ჟამნი

შენიშვნა: ვინაიდან ახალი დღე იწყება მწუხრის მსახურებით, ხოლო IX ჟამნით ვაცილებთ დღეს, პირობითად დაუშვათ, რომ IX ჟამნი მიეკუთვნება „მცირე წმიდის“ - I რანგის მსახურებას.

აღსავლის კარი და კრეტსაბმელი დახურულია.

mRvdeli ოლარითა და (სამკლაურებით) შემოსილი, ამბიონზე აღსავლის კარის წინ ამბობს ასამაღ.: **„კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი ყოვლადვე აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე“.**

medaviTne: – ამინ.
– „დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა.“
– „მეუფეო ზეცათაო“,
– „წმიდაო ღმერთო“, „ყოვლად-წმიდაო სამებაო“, „მამაო ჩვენო“.

mRvdeli: – ასამაღ.: „რამეთუ შენი არს სუფევა...“

medaviTne: – ამინ.
– „უფალო შეგვიწყალენ“ – 12-ჯერ, „დიდება, აწდა“.
– „მოვედით თაყვანის-ვჰსცეთ“ – 3-ჯერ.
– ფსალმუნი 83-ე: „ვითარ საყვარელ არიან...“
– ფსალმუნი 84-ე: „გთნდა უფალო ქვეყანა შენი...“
– ფსალმუნი 85-ე: „მოყავ უფალო ყური შენი...“

(85-ე ფსალმუნის ბოლო წინადადებას – „ჰყავ ჩემთანა სასწაულ კეთილ...“, გავიმეორებთ).

– „დიდება, აწდა“, „ალილუია“ – 3-ჯერ,
– „უფალო შეგვიწყალენ“ – 3-ჯერ,
– „დიდება“.
– **ტროპარი წმიდისა – (ის, რომელიც წაკითხულ იქნა III და VI ჟამნებზე ლიტურგიის წინ).**
– „აწდა“, ღვთისმშობლისა – „რომელი ჩვენთვის იშევ...“ **(იხ. ჟამნი, გვ. 137).**
– „წმიდაო ღმერთო“, „ყოვლად-წმიდაო სამებაო“, „მამაო ჩვენო“.

mRvdeli: – ასამაღ.: „რამეთუ შენი არს სუფევა...“

medaviTne: – ამინ, **კონდაკი წმიდისა (ის რომელიც წაკითხულ იქნა III და VI ჟამნებზე ლიტურგიის წინ).**
– „უფალო შეგვიწყალენ“ – 40-ჯერ.
ლოცვა: „რომელი ყოველსა დღესა და ყოველსა ჟამსა...“ **(იხ. III ჟამნი, გვ. 104).**
– „უფალო შეგვიწყალენ“ – 3-გზის,
– „დიდება, აწდა“,
– „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა...“,
– „სახელითა უფლისათა... გვაკურთხენ“.

mRvdeli: – „ღმერთო მიწყალენ ჩვენ, და მაკურთხენ ჩვენ...“.

medaviTne: – ამინ.
– ლოცვა: „მეუფეო უფალო იესო ქრისტე...“ **(იხ. ჟამნი, გვ. 142).**

<u>გაკვეთილი</u> – 10

ტროპარ-კონდაკთა კლასიფიკაცია

თანამედროვე საეკლესიო ღვთისმსახურებაში შემდეგი სახის ტროპარ-კონ-დაკები გამოიყენება:

1. **აღდგომის;**
2. **კვირის შვიდეულის დღეთა (მსგეფსის);**
3. **ზატიკის პერიოდის;**
4. **დიდი მარხვის პერიოდის;**
5. **რიგის წმიდის.**

1. აღდგომის ტროპარ-კონდაკები

აღდგომის ტროპარ-კონდაკები კვირა დღის მსახურებაზე იკითხება და მა-თი გამორჩევა მიმდინარე ხმის მოძიებას უკავშირდება **(იხ. ჟამნი, გვ. 549-555).**

შენიშვნა: 1. ხმის დადგენა მიმდინარე წლის საეკლესიო კალენდრის მეშვეობით ხორ-ციელდება;
2. საპასექო წელიწადში <u>პირველი ხმის ათვლა</u> ანუ 8-ხმათა განწესის და-წყება, ყოველთა წმიდათ კვირიაკის შემდგომი კვირა დღიდან იწყება;
3. აღდგომის ტროპარ-კონდაკები კვირის შვიდეულის ციკლის მსახურებათა საკითხავებს მიეკუთვნებიან.

2. კვირის შვიდეულის (მსგეფსის) ტროპარ-კონდაკები

მსგეფსის ანუ კვირის შვიდეულის ტროპარ-კონდაკები კვირის შვიდეულის დღეთა ციკლის მსახურებებზე იკითხება და მათი გამორჩევა შვიდეულის დღის დადგენასთან არის დაკავშირებული **(იხ. ჟამნი, გვ. 558-562).**

შენიშვნა: 1. სიტყვა „მსგეფსი“ ძველ ქართულად კვირის შვიდეულის დღეებს ნიშნავს ამდენად სწორია გამოთქმა – „მსგეფსი ხსნილია“ ანუ „შვიდეული ხსნილია“, ხოლო არასწორია გამოთქმა – „შვიდეული მსგეფსია“, რაც ნიშნავს შემდეგს, რომ „შვიდეული შვიდეულია“ (რაც არამართებულია);
2. ეკლესიურად ახალი დღე წინა დღის საღამოს მწუხრის ჟამნით იწყება. ამდენად, კვირის მწუხრის ტროპარი – ორშაბათ დღეს ეკუთვნის, სამშაბათის მწუხრისა – ოთხშაბათს და ა. შ. ამგვარად, თუ გვსურს სამშაბათი დღის ტროპრის ამოკითხვა, ორშაბათის მწუხრის ტროპარი უნდა მოვიძიოთ, თუ ხუთშაბათი დღის ტროპრისა – ოთხშაბათის მწუხრისა და ა.შ.

3. ზატიკის პერიოდის ტროპარ-კონდაკები

ზატიკის პერიოდის ტროპარ-კონდაკები სათანადო კვირა დღეებისა და მათი შესაბამისი შვიდეულის დღეთა მიხედვით მოიძიება **(იხ. ჟამნი, გვ. 540-548).**

ზატიკის პერიოდი (იგივე საპასექო წელიწადის I პერიოდი) სამ ქვეპერიოდად იყოფა:

1. ბრწყინვალე შვიდეული;
2. თომას კვირიდან აღდგომის წარგზავნამდე;
3. ამაღლებიდან ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე.

ზატიკის პერიოდი შემდეგ კვირა დღეებს მოიცავს:

1. აღდგომის, პასექის კვირა **(პირველი კვირა);**
2. კვირაცხოვლობა, თომას კვირა **(აღდგომიდან მე-2 კვირა);**
3. მენელსაცხებლე დედათა კვირა **(აღდგომიდან მე-3 კვირა);**
4. განრღვეულის კვირა **(აღდგომიდან მე-4 კვირა);**

– ერგასის განზოგება (ოთხშაბათი);

5. სამარიტელის კვირა **(აღდგომიდან მე-5 კვირა);**
6. ბრმის კვირა **(აღდგომიდან მე-6 კვირა);**

– ამაღლება (ხუთშაბათი)

7. I მსოფლიო კრების წმიდა მამათა კვირა **(აღდგომიდან მე-7 კვირა);**
8. **სულთმოფენობა** – ერგასის კვირა **(აღდგომიდან მე-8 კვირა);**
9. ყოველთა წმიდათა კვირიაკე **(სულთმოფენობიდან პირველი კვირა).**

შენიშვნა: 1. აღდგომიდან მე-7 შვიდეულის ხუთშაბათს ღირსი მამის დავით გარეჯელის ხსენება აღესრულება;
2. სულთმოფენობის წინა შაბათი – მიცვალებულთა ხსენების დღეა.

4. დიდი მარხვის პერიოდის ტროპარ-კონდაკები

დიდი მარხვის პერიოდის ტროპარ-კონდაკები სათანადო კვირა დღეებისა და მათი შესაბამისი შვიდეულის დღეთა მიხედვით მოიძიება **(იხ. ჟამნი, გვ. 524-539).**

მარხვის პერიოდი (იგივე საპასექო წელიწადის III პერიოდი) სამ ქვეპერიოდად იყოფა:

1. დიდი მარხვის მოსამზადებელი პერიოდი (სამი შვიდეული და 4 კვირა დღე);
2. დიდი მარხვის პერიოდი (ბზობის კვირამდე) და
3. ვნების შვიდეული.

ა) დიდი მარხვის მოსამზადებელი პერიოდის კვირა დღეები:

1. მეზვერისა და ფარისევლის კვირა;
2. უძღები შვილის კვირა;
3. ხორციელის კვირა **(საშინელი სამსჯავროს ხსენება);**

– ხორცით დაურწყება;

4. ყველიერის კვირა (**სამოთხიდან ადამის განდევნის ხსენება);**

– დიდი მარხვის აღება.

ბ) მარხვის პერიოდი:

1. დიდი მარხვის I კვირა – მართლმადიდებლობის ზეიმი;
2. დიდი მარხვის II კვირა – წმ. გრიგოლი პალამას ხსენება;
3. დიდი მარხვის III კვირა – ჯვრის თაყვანისცემის კვირა;
4. დიდი მარხვის IV კვირა – ღირსი იოანე სინელის – კლემაქსის (კიბის) აღმწერელის ხსენება;
5. დიდი მარხვის V კვირა – ღირსი მარიამ მეგვიპტელის ხსენება;
6. დიდი მარხვის VI კვირა – ბზობის (ბაიაობის) კვირა.

გ) ვნების შვიდეული:

დიდი ორშაბათი;
დიდი სამშაბათი;
დიდი ოთხშაბათი;
დიდი ხუთშაბათი;
დიდი პარასკევი და
დიდი შაბათი.

5. რიგის წმიდის ტროპარ-კონდაკები

რიგის წმიდის ტროპარ-კონდაკები თვისა და სათანადო თარიღის (რიცხვის) მიხედვით მოიძიება **(იხ. ჟამნი, გვ. 200-523).**

ამ ტიპის ტროპარ-კონდაკთა მოძებნისას რამდენიმე განსხვავებული შემთხვევის გათვალისწინებაა საჭირო:

ა) საძიებელ თვესა და რიცხვში მოცემულია როგორც ტროპარი, ისე კონდაკი. ეს შემთხვევა ყველაზე მარტივია და ტროპარ-კონდაკთა მოძიება სირთულეს არ წარმოადგენს.

ბ) საძიებელ თვესა და რიცხვში მოცემულია ტროპრის დასაწყისის ორი-სამი სიტყვა. აქ ყურადღება უნდა მიექცეს წითელი ასოებით მინაწერს, რომელშიც მინიშნებულია თუ სად უნდა იქნას მოძიებული ეს ტროპარი. მაგ. 16 ნოემბრის ტროპრის დასაწყისს აქვს მინაწერი: „ამასვე თვესა 14-ში იძიე“. ამდენად, 16 ნოემბრის ტროპარი 14 ნოემბრის საკითხავში მოიძიება, რის დრო-

საც უნდა გავითვალისწინოთ შემდეგიც: 14 ნოემბრის ტროპარში მითითებული წმინდანის სახელი უნდა შევცვალოთ 16 ნოემბრის წმიდის სახელით.

გ) საძიებელ თვესა და რიცხვში არ არის მოცემული ტროპარ-კონდაკები. ამ შეთხვევაში წაიკითხება საზიარო ტროპარ-კონდაკები. **მაგალითისათვის იხილეთ ჟამნში გვერდი 208, 237, 278, 288, 432 და ა.შ.**

დ) მოსაძიებელია ტროპარი „დღესასწაულისა“ და ტროპარი წმიდისა, მაგრამ საძიებელ თვესა და რიცხვში მოცემულია მხოლოდ ტროპარი წმიდისა, ხოლო „დღესასწაულის“ ტროპარი კი არ არის მითითებული. ამ შემთხვევაში უნდა გულისხმა-ვჰყოთ, რომ „დღესასწაულის“ ტროპარი, წარსულ, უახლოეს დღეებ-ში აღსრულებულ ათთორმეტ უდიდეს დღესასწაულთა დღეს მოვიძიოთ. **მაგ. 11 სექტემბერს მითითებული დღესასწაულის ტროპარი 8 სექტემბერს (ყოვლადწმიდა ღმრთისმშობ-ლის შობას) უნდა ვეძიოთ.**

ე) არის შემთხვევები როცა მითითებულია ტროპარი წინა დღესასწაული-სა. ამ შემთხვევაში აღნიშნული ტროპარი სადმე კი არ უნდა მოვძებნოთ, არამედ იქვე საძიებელ დღეს. **მაგალითისათვის იხილეთ 7 სექტემბერი.**

ვ) საძიებელ თვესა და რიცხვში მითითებულია „ალილუია“ ან „ტროპარი“, ან მხოლოდ „ალილუია“. აღიშნული შემთხვევა ეხება შობის, პეტრე-პავლობისა და მიძინების მარხვათა განსაკუთრებულ დღეებს. ანუ ამ დღეებში აღესრულება „ალილუიას“ მსახურება, რომლის დროსაც რიგის წმიდის ტროპარი (ტიბიკონის მოთხოვნათა შესაბამისად) არ იკითხება. **მაგალითისათვის იხილეთ ჟამნში, გვერდი 297, 310, 314, 439,440, 441 და ა.შ.**

შენიშვნა: 1. ხსენებულ მარხვებში „ალილუიას“ მსახურების ტიბიკონის განჩინებით:
- არ აღესრულება საღმრთო ლიტურგია;
- სადღედამისო ციკლის მსახურებები „ალილუიას“ თანმიმდევრობით აღესრულება;
- იკითხება ჟამნთა შედეგები;
- აღესრულება ეფრემ ასურის ლოცვა;

2. იმის გასარკვევად, რომელი მსახურება უნდა აღესრულოს: „ალილუიას“-ი თუ „ღმერთი უფალის“-ა იყენებენ შემდეგ 3 პირობას:

„ალილუიას“ მსახურებისას არ უნდა იყოს:
- შაბათ-კვირა;
- უდიდეს ათორმეტ დღესასწაულთა წინა ან შემდგომი პერიოდები და
- III, IV, V, და VI რანგის მსახურებები;

3. „ცისკრის ჟამნში“ მოცემულია ძველი ქართული ტროპარ-კონდაკები, რომელთა გამოყენება დღევანდელ ლიტურგიკულ პრაქტიკაში სამწუხაროდ არ ხდება (თუმცა მათი კითხვა არავის აუკრძალავს – იხ. ჟამნი, გვ. 74-79).

დ ა მ ა ტ ე ბ ა

„საკონტროლო“ ტროპარ-კონდაკთა ნუსხა:

17.09; 26.11; 01.02; 09.09; 27.05; 21.12; 24.12; 09.01; 31.05; 04.02; 17.09; 02.03; 05.06; 03.12; 02.01; 03.03; 16.07; 05.08; 07.08; 29.05; 05.01; 11.10; 07.09; 05.09; 06.03; 19.03; 31.12; 30.09; 10.02.

- წმიდათა პირველთა მამათა კვირა (ანუ მართალ მამათა);
- წმიდა მამათა კვირა;
- VII მსოფლიო კრების წმიდა მამათა ხსენება;
- I მსოფლიო კრების წმიდა მამათა ხსენება;

– ღირსი შიო მღვიმელის ხსენება;
– ღირსი დავით გარეჯელის ხსენება;
– ექვსი ათასი დავითგარეჯელ მოწამეთა ხსენება;
– განზოგების დღესასწაული;
– ექვსი მსიფლიო კრების წმიდა მამათა ხსენება;
– დოდო გარეჯელის ხსენება;
– მცხეთის ჯვრის დღესასწაული;
– ყოველთა ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ათონის წმ. მთაზე გაბრწყინებულთა ხსენება;
– ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული;